შენიშვნების ფურცელი

საქართველოს პარლამენტის წევრების: ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძისა და რუსლან პოღოსიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე და მისგან გამომდინარე კანონპროექტებზე (07-3/227; 20.09.2018).

№	ავტორი	შენიშვნა	შენიშვნის გათვალისწინების მდგომარეობა
		„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	
1	საინიციატივო ჯგუფი ლაშა ტუღუში ვახტანგ ხმალაძე ნათია კუპრაშვილი ზვიად ქორიძე ალეკო ცქიტიშვილი	პროექტის მე-2 მუხლით, წარმოდგენილ ტერმინთა განმარტებაში საუბარია პროკურატურის თანამშრომელზე, რომელიც უშუალოდ არ ასრულებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მაგრამ გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს პროკურორის უფლებამოსილება“. თუმცა, ბუნდოვანია რა აუცილებლობაა, რომ პროკურორის უფლებამოსილება მიენიჭოს პირს, რომელიც არ არის პროკურორი.	**არ არის გათვალისწინებული** კანონპროექტით, არ უქმდება საკვალიფიკაციო გამოცდა. არსებობს მხოლოდ საგამონაკლისო წესი. ნებისმიერ პირს პროკურორის სტატუსს ვერ მიანიჭებს გენერალური პროკურორი, თუ ის არ აკმაყოფილებს ზოგად საკანონმდებლო კრიტერიუმებს, რომელიც დადგენილია პირის

		ასეთი მექანიზმი შესაძლებლობას ხომ არ მისცემს გენერალურ პროკურორს, რომ საერთო წესის გვერდის ავლით პროკურორად დანიშნოს პროკურატურის ნებისმიერი თანამშრომელი. შესაბამისად, **მიზანშეწონილია ზემოაღნიშნული წინადადება ამოღებულ იქნეს კანონპროექტიდან.**	პროკურორად დასანიშნად. გასათვალისწინებელია, რომ **პროკურატურის სისტემაში არსებობს შტატების თანამშრომლები,** რომელიც პირდაპირ არ ახორციელებენ საპროკურორო უფლემამოსილებას, თუმცა, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე **აუცილებელია მათთვის პროკურორის სტატუსის მინიჭება** - შესაბამის ინფორმაციაზე წვდომის გარდაუვალი აუცილებლობიდან გამომდინარე.
2	**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**	მიზანშეწონილია კანონპროექტის **მე-8 მუხლის მე-4 პუნქტს** იმ ნაწილში, რომ ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ზრდის შემთხვევაში არ ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის თანხმობას, შეიცვალოს იმგვარად, რომ ამგვარი შეთანხმება იყოს სავალდებულო.	**შენიშვნა გაზიარებულია და ასახულია ტექსტში** **მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი:** „4. საშტატო ერთეულის ცვლილების ან პროკურატურის ერთი ორგანოდან/სტრუქტურული

			დანაყოფიდან პროკურატურის სხვა ორგანოში/სტრუქტურულ დანაყოფში საშტატო ერთეულის გადატანის საკითხზე ~~(მიუხედავად თანამდებობრივი სარგოს ერთი თვის ფონდის ზრდისა)~~ გადაწყვეტილებას იღებს გენერალური პროკურორი.“
3	არასამთავრობო ორგანიზაცია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი	ორგანული კანონის პროექტის **მე-9 მუხლი** ეხება, დაქვემდებარებისა და უფლებამოსილების დელეგირების საკითხებს. შენიშვნის ავტორის მოსაზრებით: ➢ ორგანული კანონის პროექტში უნდა მოხდეს GRECO-ს მეოთხე რაუნდის ანგარიშის მე-12 რეკომენდაციის ასახვა; ➢ ორგანული კანონით უნდა დარეგულირდეს ზემდგომი პროკურორების მიერ ქვემდგომი პროკურორებისთვის მითითებებისა და გადაწყვეტილებების წერილობით გაცემის სავალდებულობა.	**არ არის გათვალისწინებული** საქმეთა განაწილების საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ პროკურატურის სიტემაში **საქმეთა განაწილება ხდება ქვემდებარეობის წესების დაცვით,** რაც თავის მხრივ შეზღუდულია სტრუქტურული ერთეულების ზედამხედველობის ფარგლებით. ამ მკაცრი წესებიდან კი **გამონაკლისია მთავარი პროკურორის და მოადგილეების**

			უფლებამოსილება, ქვემდებარეობის წესის მიუხედავად, საქმის გამოსაძიებლად გადაცემის თაობაზე. რაც შეეხება მითითების წერილობით ფორმას, გენერალური პროკურორის მითითება რეგულირდება ამავე კანონის 52-ე მუხლით (ისევე როგორც სხვა პროკურორის). ხოლო, პროკურორის დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიები მოცემულია 74-ე მუხლში.
4	**იურიდიული კომიტეტი**	მე-9 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვა ქვემდგომი ამოღებულ იქნას, ვინაიდან გენერალურ პროკურორს ისედაც ექვემდებარება ყველა პროკურორო და ხაზგასმა ზედმეტია.	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **მე-9 მუხლის პირველი პუნქტი** 1. ყველა ~~ქვემდგომი~~ პროკურორი და პროკურატურის სხვა თანამშრომელი ექვემდებარება გენერალურ პროკურორს.

			არ არის გათვალისწინებული
5	**არასამთავრობო ორგანიზაცია** **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**	„პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტის **მე-9 მუხლის** თანახმად, დაქვემდებარების საკითხი გენერალურ პროკურატურაში მკაცრად ცენტრალიზებულია. **ყველა ქვემდგომი პროკურორი და პროკურატურის სხვა თანამშრომელი ექვემდებარება გენერალურ პროკურორს.** ორგანული კანონის პროექტით **მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ინდივიდუალური პროკურორის ავტონომიის ფარგლები,** მისი დაქვემდებარება უშუალო ზემდგომი პროკურორისადმი და მისი დამოუკიდებლობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამასთან მიზანშეწონილია, მისი გადაწყვეტილებები გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან ან/და სასამართლოში და არ მოხდეს ინდივიდუალური პროკურორის მიერ საკუთარი გადაწყვეტილებების ზემდგომ პროკურორთან მხოლოდ წინასწარი შეთანხმება.	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სხვადასხვა ნორმებში განსაზღვრავს პროცესში მონაწილე პროკურორის ავტონომიის და უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთან, პროკურორის დამოუკიდებლობის გარანტიები წარმოდგენილია 74-ე მუხლში, რაც შეეხება მე-9 მუხლს იგი ითვალისწინებს ვერტიკალური და არა ჰორიზონტალური დაქვემდებარების პრინციპს. გასათვალისწინებელია რომ გენერალური პროკურორი, ამავდროულად არის ადმინისტრაციული ორგანოს მმართველი ფუნქციების მატარებელი მთავარი პირი, რომლის საქმიანობაც შესაძლებელია ყოველთვის არ

			უკავშირდებოდეს სისხლის სამართლის საქმეს.
6	**ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი**	„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის **მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში** მოცემულია იმ პირთა ჩამონათვალი, ვის მიმართაც სისხლის სამართლებრივ დევნას ახორციელებს საქართველოს გენერალური პროკურორი. აღნიშნულ ჩამონათვალში არ არის მითითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებსა და საპროკურორო საბჭოს წევრებზე. მიზანშეწონილია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საპროკურორო საბჭოს წევრების მიმართაც, მათი სტატუსისა და უფლებამოსილების ფარგლების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივ დევნას ასევე ახორციელებდეს საქართველოს გენერალური პროკურორი;	**არ არის გათვალისწინებული** საპროკურორო საბჭოს იმ წევრებზე, რომელებიც არიან პროკურორები, მოსამართლეები და დეპუტატები, მათი ძირითადი საქმიანობის გათვალისწინებით, ისედაც გენერალური პროკურორი ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. რაც შეეხება იმ 2 წევრს რომელიც სამოქალაქო საზოგადოებიდან არიან განსაზღვრულნი, მათი ძირითადი საქმიანობა არ გულისხმობს ისეთი ფუნქციების შესრულებას, რა შემთხვევაშიც საჭირო იქნებოდა სისხლისამართლებრივი დევნის განმახორციელებელ პირად

			გენერალური პროკურორის განსაზღვრა.
7	საინიციატივო ჯგუფი: ლაშა ტუღუში ვახტანგ ხმალაძე ნათია კუპრაშვილი ზვიად ქორიძე ალეკო ცქიტიშვილი	მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ეხება გენერალური პროკურატურის მიერ პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას. სამსჯელოა, ხომ არ იქმნება მოცემულ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტი და ხომ არ იქნება უმჯობესი, გამოძიების უფლებამოსილება გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს.	**არ არის გათვალისიწინებული** კანონმდებლის ამგვარი მიდგომა არ არის ახალი. ანალოგიური პრინციპია მოცემული შინაგან საქმეთა, თავდაცვის, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების შემთხვევაშიც, რა დროსაც მათი თანამშრომლის მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებს ამავე უწყების გერერალური ინსპექცია თუ ეს საკითხი არ განეკუთვნება სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილებას.
8	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კანონშემოქმედებითი დეპარტამენტი	„პროკურატურის შესახებ" ორგანული კანონის პროექტის **მე-15 მუხლის მე-4 პუნქტში,** ნაცვლად ჩანაწერისა „დაუშვებელია გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა" მიზანშეწონილია	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **მუხლი 15. პუნქტი 4** დაუშვებელია გენერალური

		მიეთითოს, რომ „დაუშვებელია გენერალური პროკურორის საქმიანობაში უკანონო ჩარევა“, ვინაიდან აღნიშნული ჩანაწერით უფრო ნათლად იქნება გადმოცემული ნორმის მიზანი.	პროკურორის ~~გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა.~~ <u>საქმიანობაში უკანონო ჩარევა.</u>
9	**მოქალაქეები:** **ლაშა ტუღუში** **ვახტანგ ხმალაძე** **ნათია კუპრაშვილი** **ზვიად ქორიძე** **ალეკო ცქიტიშვილი**	კანონპროექტის **მე-15 მუხლი** განსაზღვრავს, რომ გენერალური პროკურორს აქვს უფლებამოსილება, ერთპიროვნულად დააკისროს პროკურორს დისციპლინური პასუხისმგებლობა. აღნიშნული ჩანაწერი ხომ არ ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ გენერალურმა პროკურორმა მოახდინოს პროკურორზე არასათანადო ზეგავლენა. შესაბამისად, მიზანშეწონილია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილების საპროკურორო საბჭოსთვის გადაცემა.	**არ არის გათვალისწინებული** რადგან, გენერალური პროკურორის ამგვარი უფლებამოსილება ისედაც შეზღუდულია სათათბირო ორგანოების უფლებამოსილებით, რომლებიც განიხილავენ და შესაბამისად გასცენ რეკომენდაციას დისციპლინური დევნის საკითხზე. აღსანიშნავია, რომ გენერალური პროკურორი პასუხისმგებელია პროკურატურის სისტემის გამართულ მუშობაზე და შესაბამისად, იგი უფლებამოსილი უნდა იყოს, მიიღოს სათანადო

			გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის მექანიზმის ეფექტური აღსრულების მიზნით.
10	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	ორგანული კანონის პროექტის მე-16 მუხლი განსაზღვრავს გენერალური პროკურორის თანამდებობაზე გამწესების წესსა და კრიტერიუმებს. კანონპროექტით გაწერილია საპროკურორო საბჭოს მოქმედებები და პროცედურები შერჩეული კანდიდატის პარლამენტისთვის წარდგენამდე, თუმცა, არ არის გათვალისწინებული პროცედურები იმ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტი ვერ აირჩევს წარდგენილ კანდიდატს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია განისაზღვროს თუ რა პროცედურებს აწარმოებს საპროკურორო საბჭო ახალი კანდიდატის შერჩევის მიზნით და შეიძლება თუ არა იგივე კანდიდატის განმეორებით წარდგენა. გარდა ამისა, ორგანული კანონის პროექტის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „გენერალურ	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **მე-16 მუხლის მე-6 პუნქტი:** „6.საპროკურორო საბჭო შერჩეულ კანდიდატს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. <u>თუ წარდგენილი კანდიდატი ვერ მიიღებს საქართველოს პარლამენტის წევრთა ხმათა საჭირო რაოდენობას, საპროკურორო საბჭო, ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით შეარჩევს სხვა კანდიდატურებს.</u>“ ხოლო რაც შეეხება საკითხს, რომლის თანახმად გენერალურ პროკურორს თანამდებობაზე ირჩევს საქართველოს

		პროკურორს თანამდებობაზე ირჩევს საქართველოს პარლამენტი, რეგლამენტით დადგენილი წესით“. მიზანშეწონილია აღნიშნული საკითხები განისაზღვროს რეგლამენტით.	პარლამენტი რეგლამენტით დადგენილი წესით და მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული საკითხები განისაზღვროს რეგლამენტით - მოწესრიგდება სწორედ მითითებული ნორმატიული აქტით.
11	**საინიციატივო ჯგუფი** **ლაშა ტუღუში** **ვახტანგ ხმალაძე** **ნათია კუპრაშვილი** **ზვიად ქორიძე** **ალეკო ცქიტიშვილი**	**მე-16 მუხლი ეხება,** გენერალური პროკურორობის კანდიდატის არჩევის წესს, მიზანშეწონილია საპროკურორო საბჭოს მიერ გენერალური პროკურორობის კანდიდატის არჩევის წესის შეცვლა. სახელდობრ, გენერალური პროკურორის კანდიდატურებს, აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან და სამართლის დარგის სპეციალისტებთან 3-კვირიანი კონსულტაციების საფუძველზე, საპროკურორო საბჭოს წარუდგენენ ამ საბჭოს წევრები – საბჭოს სამ ან მეტ წევრს აქვს ერთი კანდიდატის წარდგენის უფლება (ე.ი. 5	**გათვალისწინებულია** პროექტით გაზიარებულია მოსაზრებები, რომელიც გულისხმობს კანდიდატის წარდგენის შესაძლებლობას აკადემიური წრეებისთვის, კონსულტაციების გამართვას, მაქსიმალურ ჩართულობასა და პროცესის გამჭვირვალობას.

		კანდიდატზე მეტი ვერ იქნება). გენერალური პროკურორობის კანდიდატი ფარული კენჭისყრით არჩეულად ჩაითვლება, თუ იგი მიიღებს, სულ ცოტა, 10 ხმას;	
12	**არასამთავრობო ორგანიზაცია** **ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი - EMC**	**16-ე მუხლის მე-6 პუნქტით** შემოთავაზებული ცვლილებით პრობლემური რჩება გენერალური პროკურორობის კანდიდატის შერჩევის დასაბუთებულობის საკითხი. რამდენადაც, კანონი საბჭოს არ ავალდებულებს დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება და საზოგადოებისთვის ნათელი გახადოს, გარდა ზოგადი საკანონმდებლო მოთხოვნებისა, რა ძირითად კრიტერიუმებზე დაყრდნობით ან რა პროცედურული ეტაპების გავლით შეარჩია გენერალური პროკურორობის კონკრეტული კანდიდატი. შესაბამისად ორგანული კანონის **16-ე მუხლის მე-6 პუნქტი** უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, **საპროკურორო საბჭოს** გადაწყვეტილება კანდიდატის შერჩევასთან დაკავშირებით უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა შეიცავდეს ჩატარებული შესარჩევი პროცესისა და იმ კრიტერიუმების აღწერას, რომელსაც გადაწყვეტილება დაეფუძნა.	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** **მე-16 მუხლის მე-6 პუნქტი:** „6.საპროკურორო საბჭო შერჩეულ კანდიდატს <u>შესაბამისი დასაბუთებით</u> წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.“ რაც შეეხება, შენიშვნას **გენერალური პროკურორის კანდიდატთან საჯარო გასაუბრების კომპონენტის უზრუნველყოფის თაობაზე,** უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის გასაუბრება ისედაც საჯაროა და ქვეყნდება ვებგვერდზე. ხოლო, საზოგადოების ფართო მასების გასაუბრების პროცესზე

		გარდა ამისა, ორგანული კანონის პროექტის მე-16 მუხლში, გენერალური პროკურორის თანამდებობაზე გამწესების წესში, გარდა იმისა, რომ უნდა გაჩნდეს **გასაუბრების კომპონენტი, საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული გასაუბრების საჯაროობა;**	დასწრებასთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ გასაუბრების პროცედურა სამუშაო პროცედურაა და არჩევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს 15 წევრი და მათთვის პირდაპირ ეთერში დამსწრეთა არსებობის ფაქტი დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მომხდენი ვერ იქნება.
13	**არასამთავრობო ორგანიზაციები** **ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი - EMC** **საქართველოს იურისტთა ასოციაცია**	მიზანშეწონილია **მე-16 მუხლში** დაზუსტდეს, რომ გენერალური პროკორორის არჩევის პროცესი იწყება ღია კონკურსის გამოცხადებით; ასევე, დეტალურად გაიწეროს არჩევის პროცედურები.	**არ არის გათვალისწინებული** პროექტში მითითებულია რომ გენერალური პროკორორის არჩევისთვის იწყება კონსულტაციები. შესაბამისად, ღიაა პროცესი და მას ეწოდება კონსულტაცია და არა კონკურსი. ჩანაწერი ღია კონკურსის თაობაზე შინაარსობრივად არასწორია, ვინაიდან თავისი არსით კონსულტაცია ღია

			პროცესია, რაც ისედაც ცხადია. რაც შეეხება არჩევის პროცედურების დეტალიზებას აღნიშნული განსაზღვრული უნდა იყოს დებულებაში და არა ორგანულ კანონში.
14	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის **მე-17 მუხლი** არეგულირებს გენერალური პროკურორის ვადამდე გათავისუფლებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის წესს. მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით განისაზღვროს იმპიჩნენტის საკითხი, ასევე, დაკავებისას გენერალური პროკურორის იმუნიტეტის საკითხი.	**გათვალისწინებული იქნება რეგლამენტის პროექტში**
15	მთავრობის ადმინისტრაციის კანონშემოქმედებითი დეპარტამენტი	ვინაიდან კანონპროექტი არ არეგულირებს იმპიჩმენტის პროცედურულ საკითხებს, სასურველია **მე-17 მუხლის პირველ პუნქტში დაზუსტდეს,** რომ „გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადაყენება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული იმპიჩმენტის წესით“.	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **მუხლი 17. პუნქტი 1** გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადაყენება დასაშვებია მხოლოდ <u>საქართველოს კონსტიტუციით</u>

			<u>გათვალისინებული</u> იმპიჩმენტის წესით.
16	საინიციატივო ჯგუფი: ლაშა ტუღუში ვახტანგ ხმალაძე ნათია კუპრაშვილი ზვიად ქორიძე ალეკო ცქიტიშვილი	**მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით** გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა. ტერმინი „დაკარგვა“ შესაცვლელია ტერმინით „შეწყვეტა“, ვინაიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღების გამო პირი აღარ კარგავს საქართველოს მოქალაქეობას. მიგვაჩნია, რომ გენერალურ პროკურორს არ შეიძლება ჰქონდეს ორმაგი მოქალაქეობა.	**არ არის გათვალისწინებული** ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია ითვალისწინებს მოქალაქეობის დაკარგვის და არა შეწყვეტის საფუძვლებს.
17	არასამთავრობო ორგანიზაციები ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი - EMC	**პროექტის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებას.** მიზანშეწონილია საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა, პროკურატურის ორგანოების შექმნა, გენერალური პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების განსაზღვრა, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და საშტატო ნუსხის **განსაზღვრა შედიოდეს საპროკურორო საბჭოს** და არა **გენერალური პროკურორის კომპეტენციაში.**	**არ არის გათვალისწინებული** რადგან ეს არის მენეჯმენტის განხორციელების ისეთი საკითხები, რომლებიც ცდება საბჭოს უფლებამოსილებას და აღნიშნულიდან გამომდინარე ის უნდა განსაზღვროს უწყების ხელმძღვანელმა - გენერალურმა

	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არასამთავრობო ორგანიზავია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი საინიციატივო ჯგუფი: ლაშა ტუღუში ვახტანგ ხმალაძე ნათია კუპრაშვილი ზვიად ქორიძე ალეკო ცქიტიშვილი	საპროკურორო საბჭო უნდა იყოს მუდმივმოქმედი ორგანო, თავისი აპარატით, ბიუჯეტითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;	პროკურორმა, რომელიც პასუხისმგებელია მთლიანი სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებაზე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ხშირად საკითხები მყისიერ გადაწყვეტას საჭიროებს, რაც საბჭოს მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით გაართულებს პროცესს.

18	არასამთავრობო ორგანიზაციები ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი - EMC საქართველოს იურისტთა ასოციაცია	**პროექტის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებას.** **საპროკურორო საბჭოს შემადგენლობაში არ უნდა შედიოდნენ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები;** აგრეთვე, დამატებით სამსჯელოა თუ რამდენად მიზანშეწონილია, რომ პროკურორები და პარლამენტის წევრები შექმნიან საბჭოში უმრავლესობას.	**არ არის გათვალისწინებული** **აღნიშნული საკითხზე მსჯელობა განახლდება ვენეციის კომისიის მიერ კანონპროექტის შეფასების მიღების შემდეგ.**
19	საინიციატივო ჯგუფი: ლაშა ტუღუში ვახტანგ ხმალაძე ნათია კუპრაშვილი ზვიად ქორიძე ალეკო ცქიტიშვილი	პროექტის **მე-19 მუხლი** განსაზღვრავს საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებას. **საპროკურორო საბჭოს კანონპროექტის განსაზღვრული უფლებამოსილება დიდი ალბათობით ვერ უზრუნველყოფს პროკურატურის დამოუკიდებლობას, გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას.** საპროკურორო საბჭოს და არა - გენერალურ პროკურორს, უნდა გადაეცეს თითქმის ყველა უფლებამოსილება, რომლებიც ამჟამად იუსტიციის მინისტრს აქვს; **საპროკურორო საბჭო**	**არ არის გათვალისწინებული** **აღნიშნული საკითხზე მსჯელობა განახლდება ვენეციის კომისიის მიერ კანონპროექტის შეფასების მიღების შემდეგ.** ამასთან გასათვალისწინებელია, რომ იუსტიციის მინისტრის ყველა ფუნქციის გადაცემა საბჭოსთვის შეუძლებელია. რაც შეეხება საბჭოს მუდმივმოქმედ ორგანოდ

		უნდა იყოს მუდმივმოქმედი ორგანო, თავისი აპარატით, ბიუჯეტითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით; აუცილებელია საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილების მკვეთრად გაზრდა, საჭიროა გამკაცრდეს მისი წევრობის კანდიდატების საკვალიფიკაციო კრიტერიუმები;	ჩამოყალიბებას, რომელსაც ეყოლება თავისი აპარატი და ექნება შესაბამისი ბიუჯეტი, მიზანშეუწონელია საბიუჯეტო ხარჯების თვალსაზრისით. რაც შეეხება, საპროკურორო საბჭოს საკვალიფიკაციო კრიტერიუმების დეტალიზებას, პროკურორი და მოსამართლე წევრები ისედაც ექვემდებარებიან მათი მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს თანამდებობაზე გამწესებამდე და მათთვის დამატებითი კრიტერიუმების განსაზღვრა არ არის მიზანშეწონილი.
20	**საინიციატივო ჯგუფი** **ლაშა ტუღუში** **ვახტანგ ხმალაძე**	პროექტის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებას.	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ**

	ნათია კუპრაშვილი ზვიად ქორიძე ალეკო ცქიტიშვილი	➢ საპროკურორო საბჭოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული პირი; ასევე, მიზანშეწონილია, რომ საპროკურორო საბჭოს ყველა წევრს ირჩევდეს პარლამენტი, 5 წევრს - პროკურორთა კონფერენციის მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან, 2 წევრს - სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან, ხოლო 8 წევრს - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან. ამასთანავე, პროკურორთა კონფერენციამ და სახალხო დამცველმა უნდა წარადგინონ ვაკანტურ ადგილთა რაოდენობაზე ორჯერ მეტი კანდიდატი, დანარჩენმა ორგანიზაციებმა – არაუმეტეს სამ-სამი კანდიდატისა. სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან არჩეულად ჩაითვლებიან კანდიდატები, რომლებიც პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობას მიიღებენ, პროკურორთა კონფერენციის მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან არჩეულად ჩაითვლებიან კანდიდატები, რომლებიც პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობას მიიღებენ, იმ პირობით, რომ, თუ შექმნილია საპარლამენტო უმრავლესობა,	კერძოდ, საპროკურორო საბჭოს წევრის იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრის ნაწილში. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი: 2. საპროკურორო საბჭო შედგება შემდეგი 15 წევრისგან: ~~ა) საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული პირი;~~ ~~ბ~~ა) 8 წევრი, რომელსაც ირჩევს საქართველოს პროკურორთა კონფერენცია ამ კანონის 20-ე მუხლით დადგენილი წესით და რომელთა მინიმუმ ¼ მაინც განსხვავებულ სქესს უნდა წარმოადგენდეს; ~~გ~~ბ) 2 წევრი, რომელსაც ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავისი რეგლამენტით დადგენილი წესით, საქართველოს საერთო სასამართლოების იმ მოსამართლეთაგან, რომელთაც აქვთ მოსამართლედ მუშაობის

		ყოველ კანდიდატს მხარი უნდა დაუჭიროს პარლამენტის იმ წევრთა უმრავლესობამაც, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობაში არ შედიან, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საქართველოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან ოთხ-ოთხ წევრს ჯერ აირჩევენ პარლამენტის წევრები, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობაში არ შედიან, ხოლო შემდეგ – საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, თავ-თავისი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით, ან რვავე წევრს ირჩევს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ ყოველ კანდიდატს მხარი უნდა დაუჭიროს პარლამენტის იმ წევრთა უმრავლესობამაც, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობაში არ შედიან (თუ საპარლამენტო უმრავლესობა შექმნილი არ არის, საბჭოს ყველა წევრს სრული შემადგენლობის უმრავლესობით აირჩევს პარლამენტი); ➢ საპროკურორო საბჭოს შემადგენლობაში არ უნდა იყვნენ მოსამართლეები;	არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება; ᲔᲒ) 2 წევრი საქართველოს პარლამენტიდან, რომელთაგან ერთს თავის წევრთაგან ირჩევს საპარლამენტო უმრავლესობა, ხოლო მეორეს იმ პარლამენტის წევრთაგან, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობაში არ შედიან, ირჩევენ საპარლამენტო უმრავლესობის გარეთ მყოფი პარლამენტის წევრები საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით. თუ საპარლამენტო უმრავლესობა შექმნილი არ არის, საპროკურორო საბჭოს ორივე წევრს პარლამენტის წევრთაგან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ირჩევს პარლამენტი;

	არასამთავრობო ორგანიზაცია **ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**	➢ საპროკურორო საბჭოს შემადგენლობაში არ უნდა იყვნენ პარლამენტის წევრები; ➢ საპროკურორო საბჭოს არაპროკურორი წევრების შერჩევა უნდა მოხდეს მათი კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისად და არა რომელიმე კონკრეტულ თანამდებობაზე ყოფნის საფუძველზე.	<u>დ) 1 წევრი, რომელსაც ირჩევს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის წარდგინების საფუძველზე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით. საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატად შეირჩევა პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით და იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.</u> ე) 2 წევრი, რომელთაც ირჩევს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით. საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატები შეირჩევიან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევისათვის „საერთო სასამართლოების

			შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული პირობებითა და დადგენილი წესით. **რაც შეეხება შენიშვნაში მოცემულ სხვა საკითხებს, მსჯელობა განახლდება ვენეციის კომისიის მიერ კანონპროექტის შეფასების მიღების შემდეგ.**
21	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	ორგანული კანონის პროექტის **მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად,** საპროკურორო საბჭოს ერთ-ერთ წევრად დაინიშნება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული პირი. პროექტში არა არის მითითებული ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული პირი. ნორმის შინაარსიდან ვერ დგინდება, იუსტიციის მინისტრმა კანდიდატი სამინისტროს სისტემიდან უნდა შეარჩიოს, თუ შეუძლია სამოქალაქო	**შენიშვნა გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** 19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი დ) 1 წევრი, რომელსაც ირჩევს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის წარდგინების საფუძველზე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით. საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატად შეირჩევა პირი, რომელსაც

		საზოგადოების ან პროფესიული წრეების წარმომადგენელიც დაასახელოს. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია იუსტიციის მინისტრის მიერ განსასაზღვრი პირისთვისაც დაწესდეს გარკვეული კრიტერიუმები (განათლება, სამუშაო გამოცდილება, ნასამართლობის არქონა და ა.შ.);	<u>აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით და იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.</u>
22	**ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი**	ორგანული კანონის პროექტის **მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად,** „საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს, თავის წევრთაგან, ორი წლის ვადით ირჩევს საპროკურორო საბჭო, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით“. თუმცა, კანონპროექტში არ არის მითითებული საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის პროცედურები, კერძოდ: ვის და რა ფორმით აქვს კანდიდატის დასახელების უფლება, რა ფორმით ტარდება კენჭისყრა - ღია თუ ფარული, როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება ხმების გაყოფის შემთხვევაში და ა.შ. მიზანშეწონილია, რომ საბჭოს წევრის არჩევის მსგავსად, თავმჯდომარის არჩევის წესი და	**გათვალიწინებულია** კანონპროექტით და რეგლამენტით კრიტერიუმები განისაზღვრება იგივე წესით, რაც დადგენილია სხვა წევრებისთვის **მე-19 მუხლის მე-5 პუნქტი** საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს, თავის წევრთაგან, ორი წლის ვადით, <u>ფარული კენჭისყრით</u> ირჩევს საპროკურორო საბჭო, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. <u>კანდიდატების</u>

		პროცედურაც გათვალისწინებული იყოს უშუალოდ ორგანულ კანონში და არა კანონქვემდებარე აქტში;	მიერ ხმების თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, კენჭისყრა გრძელდება უფრო მეტი ხმის მქონე კანდიდატის გამოვლენამდე.
23	იურიდიული კომიტეტი	მე-19 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებში უნდა დაკონკრეტდეს, რომ თუ საპროკურო საბჭოს წევრს საბჭოს წევრობის ვადის გასვლამდე შეუწყდა სამსახურებრივი უფლებამოსილება და არ არსებობს უფლებამოსილების შეწყვეტის კანონით დადგენილი საფუძვლები საბჭს წევრის სტატუსს ინარჩუნებს ვადის გასვლამდე და მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობით.	**შენიშვნა გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **მე-19 მუხლის მე-7 პუნქტი** თუ საპროკურორო საბჭოს პროკურორმა წევრმა დაიკავა ამ კანონის მე-20- მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული რომელიმე თანამდებობა, მას ვადამდე შეუწყდება საპროკურორო საბჭოს წევრის უფლებამოსილება, ხოლო თუ საპროკურორო საბჭოს წევრობის ვადის გასვლამდე შეუწყდა სამსახურებრივი უფლებამოსილება და არ არსებობს ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე საფუძველი, საბჭოს წევრი სტატუსს ინარჩუნებს ვადის გასვლამდე და მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობით. ~~აღნიშნული ვადის გასვლამდე შეუწყდა სამსახურებრივი უფლებამოსილება, მისი საბჭოს წევრად დარჩენის ან მისთვის წევრის~~

			~~უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს წყვეტს საპროკურორო საბჭო.~~ მე-18 მუხლის მე-8 პუნქტი თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ” ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საპროკურორო საბჭოს წევრებს ვადის გასვლამდე შეუწყდა სამსახურებრივი უფლებამოსილება და არ არსებობს ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე საფუძველი, ისინი საპროკურორო საბჭოს წევრის სტატუსს ინარჩუნებენ ვადის გასვლამდე და მოქმედებენ პირადი პასუხისმგებლობით. _____ ~~და ანგარიშვალდებული არ არიან ამრჩევი ორგანოსწინაშე~~
24	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	ორგანული კანონის პროექტის მე-19 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ” ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საპროკურორო საბჭოს წევრებს ვადის გასვლამდე შეუწყდა სამსახურებრივი უფლებამოსილება, ისინი საპროკურორო საბჭოს წევრის სტატუსს	**გათვავალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **მუხლი 19. პუნქტი 9** 9. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული

		ინარჩუნებენ ვადის გასვლამდე, მოქმედებენ პირადი პასუხისმგებლობით და ანგარიშვალდებული არ არიან ამრჩევი ორგანოების წინაშე“. გასათვალისწინებელია, რომ პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეიძლება შეუწყდეს არა მხოლოდ 4 წლიანი ვადის გასვლის გამო, არამედ სხვა საფუძვლითაც. მაგალითად, პარლამენტის წევრის მინისტრად დანიშვნის შემთხვევაში მას შეუწყდება დეპუტატის უფლებამოსილება, თუმცა კანონპროექტის თანახმად, ასეთი შემთხვევა ვერ ჩაითვლება საბჭოს წევრობის დამაბრკოლებელ გარემოებად და პარლამენტის ყოფილ წევრს უფლება ექნება საბჭოს საქმიანობის ვადით (4 წლით) გააგრძელოს მასში მონაწილეობა. ამდენად, მე-19 მუხლი საჭიროებს დამატებით დაზუსტებას. ამასთან, რეგულაციის მიღმაა დატოვებული საკითხი, საბჭოს წევრობის შეწყვეტის საფუძვლების შესახებ.	<u>შემთხვევების გარდა, საპროკურორო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:</u> <u>ა) პირადი განცხადება;</u> <u>ბ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;</u> <u>გ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;</u> <u>დ) სახელმწიფო მოსამსახურის პოზიციის დაკავება;</u> <u>დ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;</u> <u>ე) გარდაცვალება.</u>
25	არასამთავრობო ორგანიზაცია	კანონის პროექტის მე-19 მუხლის მე-10 პუნქტი შესაძლებლობას აძლევს გენერალურ პროკურორს	**არ არის გათვალისწინებული** რადგან, გენერალური

	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი	სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს საბჭოს სხდომას, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. არსებული რეგულაციით, მთავარ პროკურორს ეს უფლება შეზღუდული აქვს მაშინ, როდესაც მისი თანამდებობიდან გათავისუფლების ან დისციპლინირების საკითხი განიხილება. პროექტი ასეთი სახით გენერალურ პროკურორს ფაქტობრივად საპროკურორო საბჭოს სრულფასოვანი წევრის უფლებამოსილებას ანიჭებს და შესაძლებლობას აძლევს საბჭოს გადაწყვეტილებებზე მოახდინოს გავლენა. გარდა შესაძლო ინტერესთა კონფლიქტისა, შესაძლოა, ასევე დადგეს კონსტიტუციასთან წინააღმდეგობის საკითხი.	პროკურორის გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის გზით ხოლო მის მიმართ დისციპლინურ საკითხს არ იხილავს საბჭო. შესაბამისად უშუალოდ მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვის უფლებამოსილება (გარდა არჩევისა) საბჭოს არ აქვს.
26	იურიდიული კომიტეტი არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებების	მე-19 მუხლის 13-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მიზანშეწონილა საპროკურორო საბჭოში წარდგენილი ანგარიში მოიცავდეს იმ საკითხებს რასაც მოიცავს პარლამენტისათვის წარგენილი ყოველწლიური ანგარიში. შემოთავაზებული **მე-19 მუხლის 13-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად,** საპროკურორო საბჭო	**შენიშვნა გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **მუხლი 19. პუნქტი 13. „დ“ ქვეპუნქტი** ~~წელიწადში~~ <u>6 თვეში</u> ერთხელ, ხოლო საპროკურორო საბჭოს წევრთა უმრავლესობის

	სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი - EMC საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	იკრიბება მხოლოდ წელიწადში ერთხელ, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა და ის კარგავს პროკურატურის საქმიანობის კონტროლის მექანიზმებსაც. გასათვალისწინებელია, რომ დღეს მოქმედი კანონით საპროკურორო საბჭოს აქვს უფლებამოსილება ექვს თვეში ერთხელ მაინც მოისმინოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის ანგარიში დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის, სტატისტიკური მაჩვენებლების, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტული მაჩვენებლების შესახებ.	გადაწყვეტილებით – დაუყოვნებლივ, პროკურატურის საქმიანობის შესახებ გენერალური პროკურორის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ანგარიშის მოსმენა, რომელიც ეხება სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს, ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასებას, მათ შორის, გავრცელებული დანაშაულების სტატისტიკურ მაჩვენებლებს მათი კატეგორიებისა და ტენდენციების მითითებით ~~დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკას, სტატისტიკურ მაჩვენებლებს,~~ სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ

			მიმართულებებს, პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამებს და არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლოში მის განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს; **მუხლი 19. პუნქტი 15** საპროკურორო საბჭო, იკრიბება ~~წელიწადში~~ <u>6 თვეში</u> ერთხელ, ან საპროკურორო საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3 მოთხოვნით, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს. საპროკურორო საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

27	საინიციატივო ჯგუფი: ლაშა ტუღუში ვახტანგ ხმალაძე ნათია კუპრაშვილი ზვიად ქორიძე ალეკო ცქიტიშვილი	მიზანშეწონილი არ არის კანონპროექტის **მე-20 მუხლის პირველ პუნქტის თანახმად** პროკურორთა კონფერენციის შემადგენლობაში შედიოდნენ პროკურატურის გამომძიებლებიც. გარდა ამისა, მიზანშეწონილია საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატების წარსადგენად საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობის 10-მდე შემცირება და კონფერენციის მიერ კანდიდატების არჩევის კვორუმის გაზრდა, სახელდობრ, კანდიდატების არჩევა კონფერენციის სხდომაზე დამსწრე პროკურორთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პროკურორთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედით.	**არ არის გათვალისწინებული** პროკურორთა კონფერენციის შემადგენლობაშია მხოლოდ პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი. (საპროცესო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები) და ვინაიდან ისინი ირჩევენ თავის წარმომადგენელს, ამრჩევი წრიდან გამომძიებლის გამოკლება დისკრიმინაციული და მისი ინტერესების შეზღუდვისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება.
28	არასამთავრობო ორგანიზაცია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი	**მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან** მიმართებაში აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენელთათვის მხოლოდ ერთი კვოტის განსაზღვრა არ არის მიზანშეწონილი, რადგან, აჭარა დიდ რეგიონს წარმოადგენს და ასეთ მოცემულობაში, შესაძლოა,	**არ არის გათვალისწინებული** რადგან, კვოტების გადანაწილება არ არის შემთხვევითი, ასახავს არსებულ რეალობას უზრუნველყოფს

		საპროკურორო საბჭოში მისი წარმომადგენელი ვერ მოხვდეს.	დატვირთულობის, თანამშრომელთა რაოდენობის და ტერიტორიული ბალანსის გათვალისწინებას.
29	**საქართველოს პარლამენტის წევრი:** **კობა ნარჩემაშვილი**	მიზანშეწონილია, რომ პროექტის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტში, სადაც საუბარია, რომ პროკურატურა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესით, სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას და შეუძლია განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, მიეთითოს, რომ პროკურატურა ახორციელებს არა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, არამედ მასზე ზედამხედველობას.	**არა არის გაზიარებული** პროკურატურა კანონით ახორციელებს გამოძიების პროცესში ოპერატიულ სამძებრო საქმიანობას
30	**იურიდიული კომიტეტი** **არასამთავრობო ორგანიზაცია** **ადამიანის უფლებების**	**28-ე მუხლი ეხება,** დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია, სისხლის სამართლის პოლიტიკა და დანაშაულის პრევენციას. მნიშვნელოვანია, ,,პროკურატურის შესახებ"ორგანულ კანონში ნათლად აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა წარმოადგენს არა გენერალური პროკურორის, არამედ პარლამენტის უფლებამოსილებას.	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **ცვლილება შედის 28 მუხლის მე-3 პუნქტში** პროკურატურა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პრიორიტეტულობის, სამართლებრივი დაცვის კონსტიტუციური გარანტიების განმტკიცების და დანაშაულის

	სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი - EMC		გავრცელების მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებიდან გამომდინარე შეიმუშავებს მის სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელსაც ამტკიცებს გენერალური პროკურორი.
31	მთავრობის ადმინისტრაციის კანონშემოქმედებითი დეპარტამენტი	ორგანული კანონის პროექტის **30-ე მუხლით** ცალკეა დარეგულირებული საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებული საკითხები. ვინაიდან პროცედურული საკითხები რეგულირდება შესაბამისი კანონით „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ", მიზანშეწონილი არ არის დეტალურ-პროცედურული ნორმების გადმოტანა ორგანულ კანონში. სასურველია ორგანულ კანონში მოხდეს მხოლოდ შესაბამის კანონზე მითითება, თუნდაც იმ მიზეზით, რომ შემდგომში, საპროცესო ნორმების ცვლილების შემთხვევაში არ დადგება ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის აუცილებლობა.	**არ არის გათვალისწინებული** აღსანიშნავია, რომ „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტი არა მარტო უწყების სტატუსისა და ორგანიზაციული მოწყობის შესახებ კანონპროექტია, არამედ იგი ასევე განსაზღვრავს საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს (მაგ.: სისხლისსამართლებრივ დევნა, გამოძიება და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა და სხვ.), რომელთა შორისაც მნიშვნელოვანი

		ამასთან, ვინაიდან „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტი უწყების სტატუსის და ორგანიზაციული მოწყობის შესახებ კანონპროექტია, მიზანშეწონილია, მასში განისაზღვროს პროკურატურის სტრუქტურულ-ორგანიზაციული საკითხები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და არა პროცესუალური ნორმები.	ადგილი უკავია პროკურატურის როლს საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში. პროექტის 30-ე მუხლი განსაზღვრავს საერთაშორისო დონეზე საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მხოლოდ ზოგად ჩამონათვალს და არა დეტალურ-პროცედურულ ნორმებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს კონკრეტულ სფეროში თანამშრომლობა.
32	**ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი**	**კანონპროექტის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გენერალური პროკურორი ამ უფლებამოსილებას განახორციელებლად იღებს მოტივირებულ გადაწყვეტილებას, ე.ი. ასაბუთებს ამ გადაწყვეტილებას.** მოცემულ შემთხვევაში, გენერალური პროკურორის გადაწყვეტილება არ დაექვემდებარება არავითარ მონიტორინგს, ის ვერ	**შენიშვნა არ არის გათვალისწინებული** მოტივირებული გადაწყვეტილება მაღალი სტანდარტია და უნდა დარჩეს.

	მთავრობის ადმინისტრაციის კანონშემოქმედებითი დეპარტამენტი	გასაჩივრდება, ასევე არ არსებობს სხვა პირი, რომელმაც გადაწყვეტილება შეიძლება შეაფასოს. ამდენად, ამ გადაწყვეტილების მოტივირების საჭიროებაზე მითითება არ არის მიზანშეწონილი;	
33	მთავრობის ადმინისტრაციის კანონშემოქმედებითი დეპარტამენტი	- კანონპროექტის **34**-ე მუხლის მე-**8** პუნქტი ითვალისწინებს კონკურსის გარეშე პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნას საგამონაკლისო წესით, ჩამოთვლილ მოთხოვნათაგან ერთ-ერთია: „აქვს გამომძიებლად, მოსამართლედ, სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება". მიზანშეწონილი იქნება აღნიშნულ ნორმაში გამომძიებელთან, მოსამართლესა და ადვოკატთან ერთად ასევე მიეთითოს პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი, ვინაიდან პროკურატურის სისტემაში მუშაობის 4 წლიანი გამოცდილება საკმარისია იმისათვის, რომ აღნიშნული პირებიც საგამონაკლისო ჩამონათვალში მოექცნენ.	**გათვალისწინებულია და ეს ისედაც ასახულია შემოთავაზებულ რედაქციაში და შესაბამისად პროექტში ცალკე ცვლილების განხორციელების საჭიროება არ არის.** აღნიშნული პუნქტი შედგება 2 ქვეპუნქტისგან და მე-2 ქვეპუნქტი ეხება უშუალოდ პროკურატურის გამომძიებელს და პროკურორს, მათ სტაჟზე მითითებას (2 წელი). აღნიშნული ისედაც უზრუნველყოფს შენიშვნით წარმოდგენილი მიზნის მიღწევას.

34	არასამთავრობო ორგანიზაცია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი	35-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ პროკურატურის თანამშრომლად არ მიიღება პირი, რომელიც შემოწმების შედეგად არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული ქვეპუნქტიდან არ იკვეთება კონკრეტულად რა სახის შემოწმება იგულისხმება. თუ აღნიშნულში ნაგულისხმევია საკვალიფიკაციო მოთხოვნები სასურველია დაკონკრეტდეს.	**არ არის გათვალისწინებული** შემოწმების პროცედურა გაწერილია კანონში რაც გულისხმობს კანდიდატის ზოგად კრიტერიუმებთან (მუხლი 34) და მე-10 თავით დადგენილ და გაწერილ პროცედურებთან შესაბამისობას.
35	საინიციატივო ჯგუფი: ლაშა ტუღუში ვახტანგ ხმალაძე ნათია კუპრაშვილი ზვიად ქორიძე ალეკო ცქიტიშვილი	36-ე მუხლში მიზანშეწონილია, რომ 5 წლამდე გაიზარდოს იურიდიული სპეციალობით მუშაობის გამოცდილების საჭიროება იმ პირებისთვის, რომლებიც ინიშნებიან ქ. თბილისის პროკურორად და მის მოადგილედ, საოლქო პროკურორებად და მათ მოადგილეებად, რაიონულ პროკურორებად და სპეციალიზებული პროკურატურების პროკურორებად.	**არ არის გათვალისწინებული,** ვინაიდან პრაქტიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე არსებული ნორმა ადეკვატურია.
36	იურიდიული კომიტეტი	37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში ის შემთხვევები რა შემთხვევაშიც პროკურატურის თანამშრომელი პროკურატურიდან შეიძლება დაითხოვონ. ერთ-ერთი ასეთ შემთხვევას წარმოადგენს ფიცის გატეხა. ვიანიდან ფიცის	**შენიშვნა გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი“

		გატეხვა ძალზედ შეფასებითი საკითხია და მიზანშეწონილია მოხდეს მისი ამოღება	ლ) ~~ფიცის გატეხის,~~ პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნების ან სხვა შეუფერებელი საქციელის ჩადენის გამო;
37	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	ორგანული კანონის პროექტის **37-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად,** პროკურატურის თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს - რეორგანიზაცია და შტატების შემცირება. ამავე კანონის 39-ე მუხლი დეტალურად არეგულირებს ამ საფუძვლით სამსახურიდან გათავისუფლების საკითხს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ 39-ე მუხლში „რეორგანიზაცია“ და „შტატების შემცირება“ 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისგან განსხვავებით, დაკავშირებულია არა „ან“, არამედ „ან/და“ კავშირით. მიზანშეწონილია კანონპროექტში ნათლად მიეთითოს, რეორგანიზაცია სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი შეიძლება იყოს ნებისმიერ შემთხვევაში, თუ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს დაკავშირებულია შტატების შემცირებასთან;	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** მუხლი 37 ''კ'' ქვეპუნქტი **რეორგანიზაციის ~~და~~ <u>ან/და</u> შტატების შემცირების გამო;**
38	პერსონალურ მონაცემთა დაცვის	ორგანული კანონის პროექტის **43 - ე მუხლი** ითვალისწინებს პროკურატურის თანამშრომლის	შენიშვნა 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ პუნქტზე

	ინსპექტორის აპარატი	ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი პირის შემოწმების პროცედურას, რომლის ფარგლებშიც კანდიდატთან დაკავშირებით, მათ შორის უნდა შემოწმდეს კანდიდატის თვის ადმინისტრაციული სახდელის დადების ფაქტი და მის შემოსავლებთან და ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია . მიზანშეწონილია, დაზუსტდეს კანდიდატის შემოწმების პროცესში რა ტიპის ადმინისტრაციული სახდელების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება მოხდება; კანდიდატის შემოსავლებისა და ფინანსური ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების წესი და ფარგლები ზემოაღნიშნული მოსაზრება, ასევე მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს კანონის პროექტის 77 - ე მუხლის მე - 4 პუნქტის „ გ “ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ გენერალური ინსპექციის უფლებამოსილებასთან მიმართებითაც, რომლის თანახმად სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში	გაზიარებულია და შესაბამისად დაკორექტირდა სახდელის ნაწილში **მუხლი 43 „ა' ქვეპუნქტი** **ა) ნასამართლობა და <u>მიმდინარე</u> ადმინისტრაციული სახდელის ~~დადების ფაქტის დადების ფაქტი;~~** რაც შეეხება, შენიშვნას 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ პუნქტზე, იგი გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას: საჯაროდ ხელმისაწვდომი რესურსებიდან, საიდანაც შესაძლებელია ინფორმაციის იდენტიფიცირება (მაგ. მოვალეთა რეესტრი, თანამდებობის პირების შემტხვევაში საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდი და სხვა). რაც შეეხება, ინფორმაციას საბანკო ან სხვა საფნანასო დაწესებულებებიდან, სხვა

		(დისციპლინური წარმოება) გენერალური ინსპექციას ენიჭება უფლებამოსილია: გამოითხოვოს საკითხის შესასწავლად საჭირო ყველა მასალა, დოკუმენტი ან ინფორმაცია.	ორგანიზაციებიდან აღნიშნული მოხდება კანდიდატის თანხმობის საფუძველზე, რასაც ითვალისწინებს ამავე მუხლის მე-3 პუნქტი. ხოლო რაც შეეხება, ვადას, იგი ეხება მხოლოდ მიმდინარე დავალიანებებს.
39	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	ორგანული კანონის პროექტის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „პროკურატურის თანამშრომელი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი ან ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას.“„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მსგავსად უნდა დარეგულირდეს აღნიშნული საკითხი და განისაზღვროს, რომ გამონაკლისს წარმოადგენენ კონტრაქტის საფუძველზე დასაქმებული პირები.	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **მუხლი 45. პუნქტი 3** პროკურატურის თანამშრომელი (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა) არ შეიძლება იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი ან ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას.
40	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	45-ე მუხლის მე-6 პუნქტით არ არის დარეგულირებული პროკურატურის თანამშრომლის მიერ შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის საკითხი. მიგვაჩნია, რომ პროკურატურის შესახებ ორგანულ კანონში პროკურატურის თანამშრომელთა	**შენიშვნა გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **მუხლი 45 პუნქტი 6** პროკურატურის თანამშრომელს (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა) ეკრძალება შეკრებაში

		პოლიტიკური პარტიების წევრობისა და გაფიცვებში მონაწილეობის საკითხებთან ერთად, ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული რეგულაციებიც. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი საქართველოს კანონმდებლობაში რეგულირების გარეშე არაა დატოვებული, მიზანშეწონილია პროკურატურის თანამშრომელთათვის დაწესებული შეზღუდვები მიეთითოს ერთი დონის საკანონმდებლო აქტში.	<u>მონაწილეობა,</u> გაფიცვის მოწყობა ან გაფიცვაში მონაწილეობა.
41	**პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი**	ორგანული კანონის პროექტის **47 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის** თანახმად, პროკურორს უფლებამოსილების განსახორციელებლად უფლება აქვს, მოითხოვოს აუცილებელი დოკუმენტების, მასალების, საქმეების, მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ორგანული კანონის 47 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ ა “ ქვეპუნქტში დაკონკრეტდეს, რომ პროკურორმა აუცილებელი დოკუმენტების, მასალების, საქმეების, მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემა	**გათვალისწინებულია და ეს ისედაც ასახულია შემოთავაზებულ რედაქციაში და შესაბამისად პროექტში ცალკე ცვლლების განხორცილების საჭიროება არ არის.** როგროც კანონპროექტის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის *(პროკურორის უფლებამოსილება),* ისე 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის *(გენერალური*

		უნდა მოითხოვოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნული მოსაზრებები, ასევე მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს კანონის პროექტის 77 - ე მუხლის მე - 4 პუნქტის „ გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ გენერალური ინსპექციის უფლებამოსილებასთან მიმართებითაც, რომლის თანახმად სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში (დისციპლინური წარმოება) გენერალური ინსპექციას ენიჭება უფლებამოსილია: გამოითხოვოს საკითხის შესასწავლად საჭირო ყველა მასალა, დოკუმენტი ან ინფორმაცია.	*ინსპექციის უფლებამოსილება)* თანახმად, მათ ისედაც გარანტირებული აქვთ უფლებამოსილების განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტების, მასალების, საქმეების, მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემის მოთხოვნის უფლება.
42	**საქართველოს მთავარი პროკურატურა**	57-ე მუხლის მე-2 პუნქტში უნდა დაზუსტდეს რეგულაცია, რომლეიც ეხება საარქივო ფონდის შემადგენლობას. კერძოდ, უნდა მიეთითოს, რომ პროკურატურის საარქივო ფონდი შედგება პროკურატურის ორგანოებისა და სტრუქტურული დანაყოფების არქივებისაგან.	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **57-ე მუხლის მე-2 პუნქტი** . პროკურატურის საარქივო ფონდი <u>შედგება პროკურატურის ორგანოებისა და</u> ~~ქმნის ცენტრალური და ცალკეული ორაგნოების~~ და სტრუქტურული დანაყოფების არქივებისაგან.

43	საქართველოს პარლამენტის წევრი კობა ნარჩემაშვილი	58-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომლის მიხედვით, პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი, როგორც წესი, 2 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება შეფასებას. მიზანშეწონილია ეს ვადა გაიზარდოს 5 წლამდე. ამასთან, დამწყებ და სტაჟიან თანამშრომელს განსაზღვრული ჰქონდეს სხვადასხვა ვადები	აღნიშნული მუხლის რედაქცია საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდება დამატებითი კონსულტაციების შედეგად
44	სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის **67-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად,** „კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეს საიდუმლოობის გრიფს ანიჭებს გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე“ მაშინ, როდესაც დღეს მოქმედი კანონმდებლობით, გამოძიებისას სახელმწიფო უსაფრთხოების **სამსახურის შესაბამის მოსამსახურეს, საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეუძლია საქმეს მიანიჭოს საიდუმლოობის გრიფი.** შემოთავაზებული კანონპროექტით აღნიშნული უფლებამოსილება იზღუდება. მიზანშეწონილია, რომ ასეთი შეზღუდვის შემოღების აუცილებლობა საჭიროებს დამატებით მსჯელობასა და გაანალიზებას.	**შენიშვნა გათვალისწინებულია** **67-ე მუხლის მე-4 ნაწილი ამოღებულია** ~~„კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეს საიდუმლოობის გრიფს ანიჭებს გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე.~~

45	არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი - EMC ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი	მნიშვნელოვანია, **ორგანულ კანონის 68-მუხლში** ცხადად აღინიშნოს, რომ ყოველწლიურ ანგარიშს წარადგენს უშუალოდ გენერალური პროკურორი, ხოლო, საპარლამენტო კონტროლის სხვა პროცედურებთან მიმართებით (მაგალითად ინტერპელაცია) პარლამენტთან შესაბამის ფორმატში ურთიერთობის შესაძლებლობა ჰქონდეს გენერალური პროკურორის მოადგილესაც და უფლებამოსილ პირსაც.	**გათვალისწინებულია შენიშვნა და ასახულია ტექსტში** **მუხლი 68 პუნქტი 2** „2. პროკურატურის მიერ წინა წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს, რომელიც ეხება <u>სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს, ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასებას, მათ შორის, გავრცელებული დანაშაულების</u> სტატისტიკურ მაჩვენებლებს, <u>მათი კატეგორიების და ტენდენციების</u> მითითებით, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების_____დაცვას, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამებს, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს გენერალური პროკურორი, ~~ან~~

			~~მისი პირველი მოადგილე,~~ წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 15 მაისისა. ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს.“
46	**საინიციატივო ჯგუფი:** **ლაშა ტუღუში** **ვახტანგ ხმალაძე** **ნათია კუპრაშვილი** **ზვიად ქორიძე** **ალეკო ცქიტიშვილი**	სუსტია კანონპროექტით წარმოდგენილი **68-ე მუხლით განსაზღვრული** საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი. **მისი გაძლიერება შესაძლებელია შემდეგი სქემით:** ა) პროკურატურის მიერ პარლამენტისთვის თავისი საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას მასთან დაკავშირებულ მოხსენებებს პარლამენტს წარუდგენენ საპროკურორო საბჭო და სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რის შემდეგაც იწყება პროკურატურის ანგარიშის საპარლამენტო განხილვა; ბ) საპროკურორო საბჭო ყოველწლიურად წარუდგენს პარლამენტს თავისი საქმიანობის ანგარიშს, რომლის მოსმენის შემდეგაც იმართება საპარლამენტო განხილვა;	**საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები განსაზღვრულია ახალი რეგლამენტით და მნიშვნელოვნად გაზრდილია პარლამენტის საზედამხედველო ფუნქცია. პარლამენტი ისმენს ყველა იმ ორგანოს ანგარიშს, ვისაც ირჩევს ან ვის დანიშვნაზეც აძლევს თანხმობას, ასევე იმათაც, ვისზეც ახორციელებს ზედამხედველობას.**

		გ) პარლამენტში, პარლამენტის მოთხოვნით ან საპროკურორო საბჭოს/გენერალური პროკურორის ინიციატივით, იმართება საპროკურორო საბჭოსა და გენერალური პროკურორის ინფორმაციის მოსმენა და შემდგომი განხილვა; დ) ზემოაღნიშნული ანგარიში, მოხსენება და ინფორმაცია არ უნდა შეიცავდეს მხოლოდ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გარემოებებს (და არა საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს, მაგალითად, საპროცესო ვადებს), გარდა საქართველოს კანონმდებლობით, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.	
47	**არასამთავრობო ორგანიზაცია** **ადამიანის უფლებების სწავლებისა და**	**მუხლი 68. პუნქტი 2** მიზანშეწონილია კანონმა დეტალურად განსაზღვროს ანგარიშვალდებულების მასშტაბი. კონკრეტულად კი, ყოველწლიური ანგარში, კანონში მითითებულ მონაცემებთან ერთად უმჯობესია, ასევე მოიცავდეს სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს, ქვეყანაში	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** **მუხლი 68 პუნქტი 2:** „2. პროკურატურის მიერ წინა წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს, რომელიც

	მონიტორინგის ცენტრი - EMC	ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასებას, სადაც ასევე იქნება მონაცემები დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვნებელების შესახებ, გავრცელებული დანაშაულის ტიპების და მათი ინტენსივობის შესახებ. პროკურატურის საქმიანობის სტრატეგიის და სამომავლო პრიორიტეტების განსაზღვირსთვის მნიშვნელოვანია ანგარიში ასევე ეხებოდეს ქვეყნის ვიქტიმოლოგიური კვლევის შედეგების შეფასებას.	ეხება სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს, ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასებას, მათ შორის, გავრცელებული დანაშაულების სტატისტიკურ მაჩვენებლებს, მათი კატეგორიებისა და ტენდენციების მითითებით, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამებს, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს გენერალური პროკურორი, ~~ან მისი პირველი მოადგილე,~~ წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 15 მაისისა. ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან

			დაკავშირებულ საკითხებს.“
48	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	კანონის პროექტის **71-ე მუხლის** ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობის შეზღუდვას გენერალური პროკურორის თანხმობის გარეშე, დასაკორექტირებელია. დღეს არსებული დაფინანსების ყველა საგამონაკლისო წესი გულისხმობს მხოლოდ ბიუჯეტის ჯამური მაჩვენებლის შემცირების შესაძლებლობის შეზღუდვას წინა წელთან მიმართებაში, უწყების თანხმობის გარეშე. ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებული სხვა დანარჩენი საკითხები ყველა მხარჯავ დაწესებულებასთან მიმართებაში უნდა დარეგულირდეს ერთიანი წესით.	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **ამოღებულია 71-ე მუხლის მე-3 პუნქტი** ~~„3. პროკურატურის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის, ასევე დამტკიცებული ბიუჯეტის კორექტირება შესაძლებელია მხოლოდ გენერალური პროკურორის წინასწარი თანხმობით.~~“
49	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	კანონპროექტის 74-ე მუხლის მე-6 პუნქტი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს იარაღის შესახებ თანმდევი კანონპროექტის **კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტთან,** რომლის მიხედვით, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება აქვთ: პროკურორს,	**შენიშვნა გათვალისიწნებულია და ასახულია ტექსტში** ბუნდოვანების აღმოფხვრის თავიდან აცილების მიზნით

		პროკურატურის გამომძიებელს და საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ განსაზღვრულ საქართველოს პროკურატურის პროფესიულ საჯარო მოხელეს.	კორექტიერება შევიდა „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის 74 მუხლის მე-6 პუნქტში. *„6. გენერალური პროკურორი განსაზღვრავს სამსახურებრივ-საშტატო ცვლილებათა იარაღის შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის წესს, ასევე იმ ~~თანამშრომელთა~~ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ნუსხას, რომელთაც უფლება აქვთ შეინახონ და ატარონ სამსახურებრივ-საშტატო ცვლილებათა იარაღი.“*
50	საინიციატივო ჯგუფი: ლაშა ტუღუში ვახტანგ ხმალაძე ნათია კუპრაშვილი ზვიად ქორიძე	კანონპროექტის წარმოდგენილი 76-ე მუხლი ეხება პროკურატურის თანამშრომლის პასუხისმგებლობას, თუმცა არც ეს მუხლი და არც მთლიანად კანონპროექტი არ ითვალისწინებს გენერალური პროკურორის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას. მართლაც, პროკურატურის	**არ არის გათვალისწინებული** **გენერეალური პროკურორის იმპიჩმენტის წესი განსაზღვრულია კონსტიტუციით, რის შესაბამისადაც არის ფორმულირებული ნორმა**

	ალეკო ცქიტიშვილი	თანამშრომლის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებს მხოლოდ გენერალური პროკურორი, რომელიც თავისი თავის მიმართ დევნას ვერ დაიწყებს. ასეთი ვითარება არ შეესაბამება გენერალური პროკურორის კონსტიტუციურ სტატუსს - მას არ იცავს იმუნიტეტი, შესაბამისად, შესაძლებელი უნდა იყოს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. ის, რომ თანამდებობიდან მისი გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით, მას ვერ დაიცავს სისხლისსამართლებრივი დევნისაგან (შედარებისთვის, ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მინისტრის შემთხვევაში, პარლამენტის წევრს იცავს იმუნიტეტი, მაგრამ არა სისხლისსამართლებრივი დევნისაგან, ხოლო მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება შეიძლება მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობით). ერთადერთი თანამდებობის პირი, რომელსაც სისხლისსამართლებრივი დევნისაგან იცავს კონსტიტუცია, არის საქართველოს პრეზიდენტი (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კანონპროექტში, ისევე, როგორც მოქმედ კანონში, შეცდომით	**ორგანული კანონის პროექტში. შესაბამისად, ორგანულ კანონში, ისეთი პროცედურის გაწერა, რომელიც არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით, იქნება მასთან წინააღმდეგობაში.**

		აღნიშნულია, რომ გენერალური პროკურორი ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას საქართველოს პრეზიდენტის მიმართ - უნდა ეწეროს ყოფილი პრეზიდენტის მიმართ). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია გენერალური პროკურორის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხის განსაზღვრა. ამ მხრივ, სრულიად აუცილებლად მიგვაჩნია საგანგებო პროკურორის ინსტიტუტის შენარჩუნება. უფრო მეტიც, საგანგებო (ad hoc) პროკურორს უნდა ჰქონდეს სისხლისსამართლებრივი დევნის ყველა ეტაპის განხორციელების უფლება და არ უნდა იფარგლებოდეს მხოლოდ გამოძიების ეტაპით. იმპიჩმენტის საკითხის აღძვრას შეიძლება საფუძვლად დაედოს საპროკურორო საბჭოს წარდგინება და საგანგებო (ad hoc) პროკურორის დასკვნა, რომლის თანახმად, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ გენერალურმა პროკურორმა დანაშაული ჩაიდინა. ეს მექანიზმი შესაძლებლობას მოგვცემს, შემცირდეს	

		იმპიჩმენტის პოლიტიკური საფუძველი და გაიზარდოს სამართლებრივი საფუძველი, შემცირდეს საეჭვო საფუძვლით იმპიჩმენტის საკითხის აღძვრის ალბათობა. ესეც გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც აუცილებელია საგანგებო (ad hoc) პროკურორის ინსტიტუტის შენარჩუნება.	
51	მთავრობის ადმინისტრაციის კანონშემოქმედებითი დეპარტამენტი	**კანონპროექტის 76-ე მუხლის:** • მე-10 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის მიხედვით „ფიცის გატეხა, ფასდება მძიმე გადაცდომად და დისციპლინური სახდელის სახედ გამოიყენება პროკურატურიდან დათხოვნა". უნდა აღინიშნოს, რომ ფიცის გატეხა ძალზე შეფასებითი კატეგორიაა, ამასთან, არცერთი დარღვევა ცალსახად, სხვა ალტერნატიული სახდელის/სახდელების მითითების გარეშე არ უნდა ითვალისწინებდეს სახდელის უმაღლეს ზომას - სამსახურიდან დათხოვნას. • მე-14 პუნქტის თანახმად, „გენერალური პროკურორი უფლებამოსილია პროკურატურის თანამშრომლის მიმართ	**შენიშვნა** **გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **მუხლი 78:** მე-6 პუნქტი 6. პროკურატურის თანამშრომლის მიერ ~~ფიცის გატეხისათვის~~ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის, შეუფერებელი საქციელის ჩადენისათვის ანდა კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის ან

		გამოიყენოს ნებისმიერი დისციპლინური სახდელი, მიუხედავად ამ მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი გარემოებებისა". აღნიშნული დებულება ამ მუხლით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომათა კატეგორიზაციისა და შესაბამისი სახდელის სახეების საჭიროებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მსგავსი უფლებამოსილების გენერალური პროკურორისათვის მინიჭება დაუსაბუთებელია, ვინაიდან დისციპლინური სახდელის დადება ისედაც მისი პრეროგატივაა, კანონპროექტის 76-ე მუხლის მე-10 პუნქტი კი სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილების წინაპირობებს განსაზღვრავს.	არაჯეროვნად შესრულებისათვის მის მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელი. **მე-8 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნა** ~~„ე"ფიცის გატეხა ფასდება მძიმე გადაცდომად~~ **მე-10 პუნქტი „ე" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას** ~~„ე" ფიცის გატეხა, ფასდება მძიმე გადაცდომად და დისციპლინური სახდელის სახედ გამოიყენება პროკურატურიდან დათხოვნა~~ **მე-14 პუნქტი ამოღებულ იქნას** ~~14. გენერალური პროკურორი უფლებამოსილია პროკურატურის თანამშრომლის~~

			~~მიმართ გამოიყენოს ნებისმიერი დისციპლინური სახდელი, მიუხედავად ამ მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი გარემოებებისა.~~
52	საქართველოს მთავარი პროკურატურა	77-ე მუხლის პირველ პუნქტში, საუბარია დისციპლინურ წარმოებაზე, რომელსაც ატარებს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია. ვინაიდან ფიცის გატეხა ძალზედ შეფასებითია მიზანშეწონილია, სავარაუდო დარღვევათა ჩამონათვალიდან ამოღებულ იყოს ამაზე მითითება.	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **77-ე მუხლის პირველი პუნქტი** 1. პროკურატურის თანამშრომლის მიერ ~~ფიცის გატეხისათვის~~ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევის, შეუფერებელი საქციელის ჩადენის ანდა კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისა ან არაჯეროვნად შესრულების

			შემთხვევაში გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია (შემდგომში - გენერალური ინსპექცია) ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას.
53	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	**მუხლი 80, პუნქტი 4** მიზანშეწონილია დაზღვევით უზრუნველყოფის გარდა სხვა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო ხარჯზე უზრუნველყოფა და მსგავსი შესაძლებლობა დაიშვას მხოლოდ პროკურორსა და პროკურატურის გამომძიებელთან მიმართებაში. ასევე კანონით დადგინდეს ის კონკრეტული შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია განხორციელდეს მსგავსი ანაზღაურება	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **მუხლი 80, პუნქტი 4** ~~პროკურატურის თანამშრომლის~~ <u>პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის</u> სამედიცინო მომსახურების ხარჯებს (რომელიც არ ექვემდებარება სადაზღვევო ხელშეკრულებით ანაზღაურებას) განსაკუთრებულ შემთხვევებში, გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით, ანაზღაურებს პროკურატურა.
54	ოკუპირებული ტერიტორიებიდან	**მუხლი 80**	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში**

	დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მიზანშეწონილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ანალოგიურად „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონშიც გაჩნდეს სპეციალური ნორმა პროკურატურის თანამშრომელთა სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. კერძოდ, კანონის **მე-80 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:** *„10. პროკურატურის თანამშრომელს სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.“.*	**მუხლი 80. პუნქტი 10** 10. პროკურატურის თანამშრომელს სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.
55	**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**	**მუხლი 81-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები** საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონით გამონაკლისები დადგენილია მხოლოდ პროკურორ/პროკურატურის გამომძიებელზე. შესაბამისად, მიზანშეუწონელია ამ მუხლში ისეთი დებულების გაჩენა პროკურატურის თანამშრომლებისთვის, რომელიც ეწინააღმდეგება შრომის ანაზღაურების კანონს, მათ შორის	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** და მე-3 და მე-4 პუნქტებიდან ამოღებულია სიტყვა „ყოველთვიური“, ხოლო „პროკურატურის თანამშრომელი“ დატოვებულია ვინაიდან მე-3 პუნქტის ზოგად ნორმას თავის მხრის

		ყოველთვლიური დანამატების განსაზღვრის ნაწილში.	აკონკრეტებს მე-4 პუნქტი და შესაბამისად ტერმინი „პროკურატურის თანამშრომელი" ცვლილებას არ საჭიროებს **მუხლი 81. პუნქტი 3.** ~~პროკურატურის თანამშრომლის ყოველთვიური~~ <u>პროკურატურის თანამშრომლის</u> სახელფასო დანამატის ოდენობას, ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, განსაზღვრავს გენერალური პროკურორი გამოყოფილი შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში. **მუხლი 81. პუნქტი 4** . პროკურატურის თანამშრომლის (გარდა პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებლისა)

			~~ყოველთვიური~~ სახელფასო დანამატი გაიცემა „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად.
56	მთავარი პროკურატურა	პროექტს 81-ე მუხლს, მე-5 პუნქტად უნდა დაემატოს, რეგულაცია, რომლის მიხედვით განსაზღვრული იქნება თანამდებობრივი სარგოს გაცემის წესი, დროებით არმყოფი თანამშრომლის ჩანაცვლების შემთხვევისათვის .	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **81-ე მუხლს დაემატა მე-5 პუნქტი** პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი, რომელიც ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პროკურატურის თანამშრომლის ფუნქციებს და თავისუფლდება თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან

			(სხვა ფუნქციების შესრულება), ეძლევა არმყოფი პირის თანამდებობრივი სარგო, თუ იგი აღემატება მის თანამდებობრივ სარგოს. თუ თანამდებობაზე დროებით არმყოფი პროკურატურის თანამშრომლის თანამდებობრივი სარგო მისი შემცვლელი პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობრივ სარგოზე ნაკლებია, შემცვლელ პირს უნარჩუნდება თავისი თანამდებობრივი სარგო. პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი, რომელიც ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პროკურატურის თანამშრომლის ფუნქციებს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლების გარეშე (დამატებითი ფუნქციების

			შესრულება), თავისი თანამდებობრივი სარგოს გარდა, ეძლევა სახელფასო დანამატი.
57	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მე-81 მუხლის მე-6 პუნქტი საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით და წლიური ბიუჯეტის კანონით, განსაზღვრულია საბაზო თანამდებობრივი სარგო და ვერ დავეთანხმებით სხვა კანონმდებლობაში საბაზო ან მინიმალური ხელფასის განსაზღვრას. აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია ჩაიწეროს, რომ პროკურორის/პროკურორ გამომძიებლის თანამდებობრივი სარგო არ უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბაზო ხელფასზე ნაკლები ან დაუკავშირდეს საბაზო თანამდებობრივ სარგოს კოეფიციენტით	**გათვალისწინებულია და კორექტირებულია მე-81 მუხლის მე-6 პუნქტი:** პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის (გარდა პროკურატურის სტაჟიორისა) თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი არ შეიძლება იყოს საბაზო თანამდებობრივი სარგოს 1.2 კოეფიციენტის ნამრავლზე ნაკლები. ~~1200 ლარზე ნაკლები.~~
58	მთავარი პროკურატურა	მე-82 მუხლის მე-2 პუნქტი იქიდან გამომდინარე, რომ ორგანული კანონის პროექტის მე-80 მუხლს ემატება მე-10 პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ პროკურატურის თანამშრომელს სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **82-ე მუხლის მე-2 პუნქტი** სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პროკურატურის თანამშრომლის სხეულის

		აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.“, **მიზანშეწონილია 82-ე მუხლის მე-2 პუნქტში** ასევე გაჩნდეს მითითება, რომ კომპენსაციის დანიშვნის წესი რეგულირდება ამ კანონის მე-80 მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი წესით.	დაზიანებისას ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვაგვარი გაუარესებისას, რის შედეგადაც იგი აღიარებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად, ან დასახიჩრებისას ეძლევა ერთდროული კომპენსაცია 7 000 ლარის ოდენობით. კომპენსაციის დანიშვნის წესი რეგულირდება ამ კანონის მე-80 მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი წესით.
		საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის თაობაზე	
59	**იურიდიული კომიტეტი**	წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება **საარჩევნო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში.** თუმცა, საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის 21 ივლისის #3266-რს კანონით საარჩევნო კოდექსის 103-ე მუხლში	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **მუხლი პირველი. პუნქტი 1**

		უკვე განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად, 103-ე მუხლი, ნაცვლად 4 პუნქტისა განისაზღვრა 3 პუნქტით. აღნიშნული ცვლილება კი ძალაში უნდა შევიდეს პრეზიდენტს მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე ამასთან, ცვლილების ამოქმედების ვადად უნდა განისაზღვროს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებიდან მე-2 დღე.	1. 103-ე მუხლი_~~ს მე-3 მე-4 პუნქტები~~ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 103. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის საქმიანობის გარანტიები** 1. არ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სამსახურიდან დათხოვნა ანდა სხვა სამუშაოზე ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა მისი თანხმობის გარეშე. 2. არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე არ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დაკავება, დაპატიმრება ან გაჩხრეკა, თუ საქართველოს ~~მთავარი~~ გენერალური პროკურორის წარდგინებაზე ცესკო თანხმობას არ მისცემს. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ

			უნდა ეცნობოს ცესკოს. თუ ცესკო მიიღებს სათანადო განკარგულებას, დაკავებული ან დაპატიმრებული საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. 3. ამ მუხლში აღნიშნული თანხმობის მიცემის შესახებ ცესკოს განკარგულებას კენჭი ეყრება საქართველოს ~~მთავარი~~ <u>გენერალური</u> პროკურორის წარდგინების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში."; ~~„3. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე არ შეიძლება დააკავონ, დააპატიმრონ ან გაჩხრიკონ, თუ საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინებაზე არ~~

			~~იქნა ცესკოს თანხმობა. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცესკოს. თუ ცესკო მიიღებს სათანადო განკარგულებას, დაკავებული ან დაპატიმრებული საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.~~ ~~4. ცესკოს განკარგულებას ამ მუხლში აღნიშნული თანხმობის მიცემის შესახებ კენჭი უნდა ეყაროს საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.“.~~ **მუხლი 2** 1. ეს კანონი, გარდა პირველი მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული

			საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე; 2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებიდან მე-2 დღეს..~~.~~
		„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	
60	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	კანონპროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს ცვლილებას „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული **კანონის 72³ მუხლში,** რომლის სათაურში კვლავ რჩება ტერმინი „პროკურატურის მუშაკი“, რაც უნდა შეიცვალოს ტერმინით „პროკურატურის თანამშრომელი“	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **72³ მუხლი** „მუხლი 72³. პროკურატურის ~~მუშაკის~~ <u>თანამშრომლის</u> პასუხისმგებლობა

		„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	
61	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	**პირველი მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით** აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში 2018 წლის 09 აგვისტოს გამოქვეყნდა და ასევე 2019 წლის 01 იანვრიდან ამოქმედდება საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის 21 ივლისს მიღებული საქართველოს კანონი N3285-რს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც ახალი რედაქციით აყალიბებს იგივე ნორმებს - კანონის მე-20 მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებს. N3285-რს კანონით და წარმოდგენილი კანონპროექტით მითითებული ნორმები ყალიბდება იდენტური რედაქციებით და საკანონმდებლო ნორმათა შორის გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია კანონპროექტმა გაითვალისწინოს უკვე მიღებული ცვლილებები და ამოქმედების ვადა.	**გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში** **კერძოდ კანონპროექტის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:** **„მუხლი 2.** 1. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე. 2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 2 ~~1~~ იანვრიდან.“
		„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს	

		კანონის პროექტზე:	
62	**ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი**	• კანონპროექტი ახალი რედაქციით აყალიბებს **კანონის 57-ე მუხლის მე-5 პუნქტს,** რომელიც განსაზღვრავს, რომ სამინისტროს გენერალური ინსპექცია თავისი საქმიანობის განხორციელებისას დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის მასალებს დაუყოვნებლივ გადასცემს საქართველოს გენერალურ პროკურატურას. ეს ნორმა ამოქმედდება საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში 2018 წლის 09 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის 21 ივლისს მიღებული საქართველოს კანონი N3284-რს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც იგივე ნორმას აყალიბებს ახალი რედაქციით. რომელიც ამოქმედდება 2019 წლის 01 იანვრიდან.	**არ არის გათვალისწინებული.** იქიდან გამომდინარე, რომ შენიშვნის ის საკითხი, რომ პრეზიდენტის არჩევნებში დაინიშნოს მე-2 ტური და მე-2 ტურში არჩეულმა პრეზიდენტმა ფიცი დადოს პირველი იანვრის შემდეგ წარმოადგენს ჰიპოთეტურ მოსაზრებას. კანონპროექტის ამოქმედების ვადები როგორც წესი იანგარიშება სტანდარტული ვადებით, ხოლო ისეთი საკითხები, რომლებიც შესაძლოა გამოწვეული იყოს ფორს-მაჟორული ვითარებით ვერ იქნება გათვალისწინებული. ეს ისეთივე ჰიპოთეტური მოსაზრებაა, როგორც ის, რომ მე-2 ტურში არჩეულმა პრეზიდენტმა უარი განაცხადოს

		იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადება მოხდება 2019 წლის 01 იანვრამდე, საკანონმდებლო ხარვეზი არ წარმოიშვება, თუმცა გასათვალისწინებელია შემთხვევა, თუ ფიცის დადება მოხდება 2019 წლის 01 იანვრის შემდეგ.	ფიცის დადებაზე და საჭირო გახდეს ხელახალი არჩევნების დანიშვნა
		„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე:	
63	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	კანონპროექტი ახალი რედაქციით აყალიბებს **კანონის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტს**, რომელიც განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექცია თავისი საქმიანობის განხორციელებისას დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის მასალებს დაუყოვნებლივ გადასცემს საქართველოს გენერალურ პროკურატურას. ეს ნორმა ამოქმედდება საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული	**არ არის გათვალისწინებული.** იქიდან გამომდინარე, რომ შენიშვნის ის საკითხი, რომ პრეზიდენტის არჩევნებში დაინიშნოს მე-2 ტური და მე-2 ტურში არჩეულმა პრეზიდენტმა ფიცი დადოს პირველი იანვრის შემდეგ წარმოადგენს ჰიპოთეტურ მოსაზრებას.